გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 213 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 85 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 23 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 10 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 15 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები მოქალაქეებს ჩემს მაჟორიტარულ ოლქში სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები,რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია. ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მცხოვრები ოჯახები, რომელთაც საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად , მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეეთავაზათ გორის მუნიციპალიტეტის მერის სოციალური დახმარების გაცემის წესის მიხედვით ქირავნობის პროგრამაში ჩართვა. სხვა არსებული პრობლემების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი **2024 წლის 19 ოქტომბერი.**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: დავით ადუაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქვახვრელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი თინათინ ფირანიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი დავით ადუაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს დავით ადუაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა დავით ადუაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: თამარ მურალოვამ, და გიორგი ზაალიშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა.

საკრებულოს წევრი : დავით ადუაშვილი;